ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 48 31
10/06/2020

31-48-4-202006101649

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის (2020-2023) დატკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო;

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020-2023) დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი №1

დამტკიცებულია:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2020 წლის 10 ივნისის №48 31 განკარგულებით.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020 - 2023)

2020 წელი

MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF DENMARK

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მომზადებულია პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარება“ გაეროს განვითარების პროგრამის „(UNDP) პროექტების „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD 2)” და „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე (DGG)” ფარგლებში კონტრაქტორი ორგანიზაციის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) მონაწილეობით, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების მოსაზრებებს.

AYEG
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

LDA GEORGIA

სარჩევი

წინასიტყვაობა **1**

1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები **2**

2. სიტუაციის ანალიზი **4**

2.1. ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა 4

2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა 5

2.2. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა 10

2.3. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა 11

2.4. განათლება, კულტურა და სპორტი 12

2.5. გარემოს დაცვა 14

2.6. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა 15

3. SWOT ანალიზი **17**

4. განხორციელების მექანიზმი **19**

5. მონიტორინგი და შეფასება **28**

დანართი **30**

წინასიტყვაობა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020 - 2023) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით შემუშავებულ დოკუმენტს, რაც გამოიხატება არსებული საჭიროებების შესწავლაში, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრაში და მათ მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი წარმოადგენს ტყიბულის საშუალოვადიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად გეგმას, რომელიც ასახავს ადგილობრივ მთავარ მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს.

შემუშავების პროცესის აღწერა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესი ითვალისწინებდა მაღალ სამოქალაქო აქტივობას და ინტერესთა ყველა ჯგუფის შეხედულების გაანალიზებას. სწორედ, თანამონაწილეობით პრინციპს ეფუძნება დოკუმენტის შემუშავების პროცესი და წარმოადგენს კომპლექსურ მიდგომას გააერთიანოს სხვადასხვა მხარეების ინტერესები, მოსაზრებები, პრიორიტეტები და პრობლემების გადაჭრის ხედვა, განვითარებისა და პროგრესის საზიარო მიზნის მისაღწევად.

დოკუმენტის შემუშავების პროცესის ინიციატორი იყო მუნიციპალიტეტის მერი, რომელმაც ჩამოაყალიბა დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი. დაგეგმვის სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა პროექტის ფარგლებში შექმნილი „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის პრაქტიკული სახელმძღვანელო“ მეთოდოლოგიით და უზრუნველყო დაგეგმვის პროცესში სამოქალაქო და კერძო სექტორის მაღალი ჩართულობა, ქალებისა და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნას მრავალფეროვანი აუდიტორიის მონაწილეობა და ჩართულობა დაგეგმვის პროცესში.

1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის, არსებული გამოცდილებისა და SWOT ანალიზის გათვალისწინებით, პარტნიორების ყველა მონაწილე მხარის ჩართულობით შემუშავებული და გაზიარებული იქნა ტყიბულის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა და სტრატეგიული მიზნები, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

ხედვა: ტყიბული - მუნიციპალიტეტი, სადაც მდიდარი ისტორიულ-კულტურული, ბუნებრივი და ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის, განვითარებული ინფრასტრუქტურისა და დაცული გარემოს საფუძველზე, უზრუნველყოფილია სოციალურ-ეკონომიკური გარემოს მდგრადი განვითარება და შექმნილია მიმზიდველი გარემო ცხოვრების, მუშაობისა და დასვენებისათვის.

მიზანი 1.	**მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება და უსაფრთხოების ხარისხის ზრდა**
ამოცანა 1.1	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგება
ამოცანა 1.2	მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებზე დაყრდნობით სოციალური ინკლუზიის მიღწევის ხელშეწყობა
ამოცანა 1.3	მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა
მიზანი 2.	**ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ბიზნეს-მომსახურების სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა**
ამოცანა 2.1	ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; განვითარების პერსპექტივის მქონე მიმართულებების იდენტიფიკაცია და მათი განვითარების პროგრამის შემუშავება; სასარგებლო წიაღისეულით დატვირთული მიწების ინვენტარიზაცია
ამოცანა 2.2	ტურიზმის სექტორის ხელშეწყობა
ამოცანა 2.3	სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების განვითარების ხელშეწყობა (მეჩაიობის, მეხილეობის, მეფუტკრეობის და სხვა.)
ამოცანა 2.4	კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბება
ამოცანა 2.5	ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია
ამოცანა 2.6	ბიზნესსაქმიანობით დაინტერესებული ახალგაზრდებისა და ქალების ეკონომიკური გაძლიერება კვალიფიკაცის ამაღლების ხელშეწყობით

დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები და ხელი შეეწყობა გენდერული თანასწორობის დამყარებას. წარმოდგენილი მიზნები და ამოცანები ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და აერთიანებს ადგილობრივ დონეზე სიღარიბის დაძლევისთვის კონკრეტულ ქმედებებს.

მუნიციპალიტეტის განვითარების საერთო ხედვაა ეკონომიკის დივერსიფიკაცია, მისი მდგრადი განვითარების საფუძვლების შექმნა, რათა შეიქმნას მიმზიდველი და ხელსაყრელი

გარემო პირობები სამეწარმეო აქტივობების ზრდის, ტურიზმის განვითარების, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების, სწავლებისა და დასვენებისათვის.

მუნიციპალიტეტს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში გადაწყვეტილი აქვს მნიშვნელოვანი სახსრები მიმართოს კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბებაში, ადგილობრივ კერძო სექტორსა და დიასპორის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბება-განვითარებაში, ხელი შეუწყოს ადგილობრივი პროდუქტის პოპულარიზაციას. გეგმით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი ტურისტული წვევის ობიექტად გადაქცევა - ტურიზმის ინფრაქტრუქტურის მოწყობა და ტურისტების მოზიდვა. ასევე, გეგმა ითვალისწინებს ადგილობრივ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, მათი კვლევისა და ანალიზის საფუძველზე საინვესტიციო პაკეტების მომზადებასა და ბიზნესისათვის შეთავაზებას, ადგილობრივ ეკონომიკური აქტივობებში ჩართული და დაინტერესებული ახალგაზრდებისა და ქალების პროფესიული შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობას.

2. სიტუაციის ანალიზი

2.1. ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე ზღვის დონიდან 600 – 800 მეტრ სიმაღლეზე და ძირითადად მოიცავს ოკრიბის ქვაბულს. მისი საერთო ფართობია 47,800 ჰა. ტყიბულის მუნიციპალიტეტი შედის იმერეთის რეგიონში შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებთან ერთად: ქალაქი ქუთაისი, ბაღდათი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, სამტრედია, საჩხერე, ხარაგაული, ხონი, წყალტუბო და ჭიათურა. რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი არის ქალაქი ქუთაისი. ტყიბულის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება წყალტუბოს, ჭიათურის, თერჯოლის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტები და ქალაქი ქუთაისი. ტყიბულის მუნიციპალიტეტი დაყოფილია 10 ადმინისტრაციულ ერთეულად, თემებად.

წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები - ტყიბულში მოიპოვება ქვანახშირი, ტეშენტიტი, გრანიტი და სხვა. ქვანახშირის მარაგი დაახლოებით 3.1 მლნ. $მ^3$-ია. ტყიბულის მუნიციპალიტეტის კურსებისა და ორპირის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სასოფლო დასახლებულ პუნქტებში არის გრანიტის ქვის საბადოები დიდი მოცულობის ნედლეულით. ამჟამინდელი მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტყის ფონდის ფართობი 29,183 ჰექტარს შეადგენს. ტყიბულის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მდიდარი ბუნებით. ფლორა და ფაუნა წარმოდგენილია როგორც ვიწრო არეალის კოლხური, ასევე კავკასიური ენდემური სახეობებითა და ჯიშებით. ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებობს სხვადასხვა სახის სამკურნალო წყალი. ბალნეოლოგიური სამკურნალო წყაროებია: კურსებში, ბუეთში, სოჩხეთში, მანჭიორში, მუხურასა და ლეღვაში, ხოლო სასმელი მინერალური წყლებია: ლეღვაში, მანჭიორში, ცუცხვათში, ძიროვანში და სხვაგან. აქედან ხდება მხოლოდ მინერალური წყალის „ლეღვას“ ჩამოსხმა და რეალიზაცია.

მუნიციპალიტეტში ხელსაყრელი პირობაა ენერგეტიკის მხრივ, ტყიბულში მდებარე „შაორჰესი“-ს მიერ წლიურად გამომუშავებული ელექტროენერგია იმერეთის რეგიონში გამომუშავებული ელექტროენერგიის 21%-ს შეადგენს.

დემოგრაფია - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2019 წლის 1 იანვრის სტატისტიკით შეადგენს 18,8 ათას კაცს, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის 4%-ია. მათგან ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, 49%-ია, ხოლო 51% ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 5 წლის მანძილზე (2015-2019წწ.) შემცირდა 9%-ით. კლების ტენდენციით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (9%) და 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგინა 39,3 კაც/კვ.კმ-ზე.

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 2015 წლიდან 2018 წლის ბოლომდე შემცირდა 6%-ით და მიაღწია 1 082 კაცს. რაც შეეხება პენსიის მიმღებთა რაოდენობას მოცემული დროის მონაკვეთში შემცირდა 2%-ით (5 738 კაცი).

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი 15+ ასაკის მოსახლეობაში არის 70%. 2018 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში ბიზნეს სუბიექტების წილი რეგიონულ მაჩვენებელთან მიმართებაში 3%-ია და 1%-იანი კლებით ხასიათდება (2015 - 2018წწ.). სექტორულ ჭრილში თუ განვიხილავთ, მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი მოცულობა უკავია საბითუმო და საცალო ვაჭრობას, თუმცა 2015 წლიდან 2018 წლამდე 12%-იანი კლება შეინიშნება. 7%-იანი ზრდით ხასიათდება დამამუშავებელი მრეწველობა და მუნიციპალიტეტზე მთლიანი რეგიონის მაჩვენებლის 5% მოდის.

2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

ეკონომიკური ტენდენციების ანალიზი მიანიშნებს იმაზე, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტი დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო ღრმად განიცდის სირთულეს კომერციალიზაციის პოტენციალის ზრდის თვალსაზრისით. პრაქტიკულად, მუნიციპალიტეტის ეკონომიკა რჩება არადივერსიფიცირებული (მონოეკონომიკა) და დამოკიდებული მხოლოდ ერთ მსხვილმასშტაბიან აქტორზე - სამთო მოპოვებით (ქვანახშირის) მრეწველობაზე. ერთ დროს პოპულარული ტყიბულის ჩაისაგან, ამ ეტაპზე მხოლოდ მისი პოპულარული სახელია დარჩენილი, თუმცა აღნიშნულს აქვს პერსპექტივა, დარგის განვითარების შემთხვევაში და ამ კუთხით უკვე დაწყებულია მეჩაიეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, იქცეს მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებების მცხოვრებთათვის ეკონომიკური შემოსავლების გაჩენის შესაძლებლობად.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის დივერსიფიკაციის აუცილებლობას და მასზე გეგმაში მთავარი აქცენტების დასმის აუცილებლობას ასევე ადასტურებს შემდეგი ფაქტი: შ.პ.ს. „საქნახშირზე“ (საწარმოს წილი 2018 წლამდე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ადგილობრივ შემოსავლებში 64,93%-ია; ბიზნესსექტორში დასაქმებულებს შორის საქნახშირში დასაქმებულების პროცენტული წილი 70,51%), რომელიც სამთო-მოპოვებით მრეწველობას ეწევა. სამთო მოპოვებითი მრეწველობის გამოკლებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მიზერულია.

აღნიშნული დამოკიდებულება მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია, რადგანაც ბოლო პერიოდის მოვლენები აჩვენებს, დარგის ფუნქციონირებისათვის საჭირო მასშტაბურ ინვესტირებასთან დაკავშირებით არსებული სირთულეებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი დარჩეს ძირითადი დამსაქმებლისა და ეკონომიკური შემოსავლების გარეშე. შესაბამისად, ეკონომიკის დივერსიფიცირება და მხოლოდ ერთ მეწარმე სუბიექტზე დამოკიდებულების შემცირება, რჩება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების უმთავრეს გამოწვევად. არსებულ ფონზე, საქართველოში არსებული საბანკო კრედიტების სიძვირისა და კაპიტალის ალტერნატიული ბაზრების პრაქტიკულად არარსებობის გამო, ასევე ტყიბულის მუნიციპალიტეტის განსახლების, შრომითი ბაზრისა და ეკონომიკის პროფილის გათვალისწინებით, ქვანახშირის მრეწველობის გამორიცხვის შემთხვევაში, გადამამუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორების ენდოგენური (ანუ მხოლოდ საკუთარ რესურსებზე დაყრდნობით) დამოუკიდებელი ზრდა

მოსალოდნელი არ არის. აუცილებელია მუნიციპალიტეტმა მაქსიმალური ძალისხმევა ჩადოს ამ დარგების განვითარებაში, შესაბამისი ინფრასტრუტურისა და განვითარების პირობების სახით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მინაცემებით, 2018 წლის დასაწყისისთვის ტყიბულის მუნიციპალიტეტში აქტიური სტატუსის მქონე ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა შეადგენს 752-ს. მათგან ყველაზე დიდი წილი მოდის ვაჭრობის სექტორში მომუშავე აქტიურ ობიექტებზე.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის მიმართულებით მნიშვნელოვანია ტყიბულში არსებული წიაღისეული. ტყიბულში მოიპოვება ქვახშირი, ტეშენტიტი, გრანიტი და სხვა. მრეწველობის ძირითადი დარგია ქვანახშირის მოპოვება. ტყიბულში მოქმედებს ქვანახშირის მომპოვებელი ორი შახტა და ერთი ქვანახშირის გამამდიდრებელი ქარხანა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილია ტყიბულის წყალსაცავი.

სოფლის მეურნეობა - მუნიციპალიტეტის რთული გეოგრაფიული მდებარეობა და შედარებით მკაცრი კლიმატი არ არის ხელსაყრელი სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის განვითარებისათვის, მიუხედავად ამისა ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა მრავალფეროვანია. მეტ-ნაკლებად განვითარებულია მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა, მეფრინველეობა, დაბალ ზონაში განვითარებულია ასევე მევენახეობა, სუბტროპიკული, მარცვლოვანი, პარკოსანი, კენკროვანი და კაკლოვანი კულტურები.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობია 11,396 ჰა, აქედან კერძო საკუთრებას შეადგენს 4,766 ჰა, დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა, დანიშნულების მიხედვით მისი გამოყენება შემდეგნაირად ხდება: სათიბი 21 ჰა, საძოვარი, 6,527 ჰა, სახნავი - 3 ,94 და მრავალწლიანი კულტურები - 2,354 ჰა.

მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი პრობლემაა ჩაის კულტურის წარმოების ინფრასტრუქტურის არარსებობა, რის გამოც დეგრადირებულია ჩაის პლანტაციები (980 ჰა).

ტყიბულის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი რესურსი არსებობს მეხილეობაში, თუმცა წარმოებული ხილის მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის რეალიზაცია ხდება. ხეხილოვანი კულტურები მუნიციპალიტეტში არ იწამლება ამიტომ შედარებით სუფთაა ეკოლოგიური თვალსაზრისით. თუმცა აღნიშნული უარყოფით ზეგავლენას ახდენს პროდუქციის მოსავლიანობასა და ხარისხზე და ასეთი ხილის რეალიზაცია ნაკლებად ეფექტურია, რადგან სარეალიზაციო ფასი მასზე დაბალია.

მუნიციპალიტეტში მეფუტკრეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარი თაფლოვანი მცენარეებით, ამიტომ სეზონურად ხდება სხვა რეგიონებიდან ფუტკრის მომთაბარეობა. სულ მუნიციპალიტეტში 4 663 სკა ფუტკარია, 2016 წლისათვის მუნიციპალიტეტის მასშტაბით წარმოებული იქნა 50 ტონა თაფლი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 9 თევზსაშენი ტბორიდან, რომლის სარკის ფართობი 20 ჰა-ს შეადგენს, არცერთი არ ფუნქციონირებს. სატბორე მიმართულების მეთევზეობის განვითარებისათვის არახელსაყრელ პირობებს ქმნის საკვები ბაზის ხელმიუწვდომლობა და ხარისხიანი სანაშენე ლიფსიტის დეფიციტი.

მუნიციპალიტეტში აგრარული სექტორის პრობლემები და გამოწვევები:

- ნაკვეთების დაბალმოსავლიანობა, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზანმიმართული ღონისძიებების არარსებობით (ეროზიების საწინააღმდეგო ღონისძიებები, ნიადაგის ანალიზი);
- ამორტიზებული ჩაის პლანტაციები, რომელთა ჩანაცვლების შემთხვევაში გამოთავისუფლდება 980 ჰა მდე მიწის ფართობი სხვა კულტურების საწარმოებლად;
- პირუტყვის დაბალი წველადობა და ფრაგმენტულობა მუნიციპალიტეტის მეცხოველეობის საწარმოებს ხელს უშლის მთელი წლის განმავლობაში სტაბილურად აწარმოონ და გაყიდონ თავიანთი პროდუქცია, ერთის მხრივ ზაფხულში რძის შედარებით ჭარბი რაოდენობა, ხოლო მეორეს მხრივ ზამთრის პერიოდში რძის დეფიციტი მნიშვნელოვან ფასთა სხვაობას იწვევს პროდუქტის ღირებულებაში;
- პირველადი წარმოების გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მინიციპალიტეტში წარმოებული ნედლეულის სრულად ათვისება გადამუშავებას, პროდუქციის დიდი ნაწილი ნედლეულის სახით გაედინება მუნიციპალიტეტიდან და გადამუშავდება სხვა რეგიონებში;
- სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია.

მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა - პროდუქციის გამოშვებამ ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2018 წელს 2014 წლის მონაცემებთან შედარებით შემცირდა.

ბრუნვის მაჩვენებელი 2018 წელს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად 35,9 მლნ. ლარია, რაც ასევე საგრძნობლადაა შემცირებული 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 54%-იანი კლებაა. მონაცემი მთლიანი რეგიონის ბიზნესის ბრუნვის 1%-ს შეადგენს. დასაქმებულთა რაოდენობა ტყიბულის მუნიციპალიტეტში ბოლო ორ წელს შემცირდა და სულ შეადგინა 2,035 პირი.

აქვე მნიშვნელოვანია დაქირავებულთა რაოდენობაც მუნიციპალიტეტში, რომელიც 2018 წელს 1,957-ია, რომელიც მუნიციპალიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და მიუთითებს ადგილობრივი მოსახლეობის შედარებით სტაბილურ შემოსავლის დონეზე. საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება მუნიციპალიტეტში 983 ლარია, რაც რეგიონის საშუალო მონაცემს 26%-ით აღემატება და საერთო ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან

შედარებით 12%-ით ნაკლებია. აღნიშნულიც ძალიან დადებითი მაჩვენებელია ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების მიმართულებით.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2018 წლის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად მოქმედია 347 საწარმო, რომელთაგან მნიშვნელოვანი ან პერსპექტიული დარგია ქვანახშირის მომპოვებელი შახტები რაც ასევე ზრდის მუნიციპალიტეტში სხვა თანამდევი ეკონომიკური დარგების განვითარების შესაძლებლობას. მოქმედი საწარმოთაგან 2 არის მსხვილი საწარმო, 10 საშუალო და დანარჩენი მცირე. ქვანახშირის ბალანსური მარაგი 307 მილიონ ტონას შეადგენს, ხოლო საერთო გეოლოგიური მარაგი კი ერთ მილიარდ ტონამდე აღწევს.

ნახშირის მრეწველობის განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცებას. ხოლო ადგილობრივი ნახშირის რესურსის გამოყენებით ელ.ენერგიის წარმოების პროექტების თანახმად ნავარაუდევია ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება (მშპ–ს 7–10%–მდე ზრდა, საგარეო სავაჭრო ბალანსის ნახევარი მილიარდი აშშ დოლარით გაუმჯობესება).

ტყიბულის მუნიციპალიტეტი მდიდარია ჰიდრორესურსებით. მდინარე შაორზე კაშხალის აშენებით შეიქმნა ხელოვნური წყალსაცავი, რომელიც ჩაფლულია ულამაზეს ბუნებაში. ამ წყალსაცავიდან წყალი ნაქერალას ქედის ქვეშ უნიკალური ჰიდრო ნაგებობებით (ჰიდრო გვირაბითა და წყალგამტარი დიდი წნევის მილებით) გაედინება და მიეწოდება ქ. ტყიბულში აშენებულ „შაორჰესის“ ჰიდროელექტროსადგურს, რომლის საპროექტო სიმძლავრე 38.4 მგვტ.-ია, ხოლო საშუალო სიმძლავრე - 28.0 მგვტ.-ია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია გარდა ქვანახშირისა მდიდარია ტეშენიტის საბადოებით, შესაბამისად განვითარებულია მისი მოპოვება და დამუშავება. ტეშენიტის მოპოვება ღია წესით წარმოებს სოფლებში: კურსები, ოხომირა, კოკა, ბუეთი და ცუცხვათი. კურსებში ფუნქციონირებს ტეშენიტის მოსაპირკეთებელი ფილების დიდი დამამზადებელი ქარხანა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ტეშენიტის გადამამუშავებელი რამდენიმე საშუალო და მცირე სიმძლავრის საამქრო.

ზოგადი შეფასებით ტყიბულის მუნიციპალიტეტი რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტთან შედარებით განვითარებულია ეკონომიკური თვალსაზრისით და წიაღისეული რესურსების გამოყენების დიდი პოტენციალი აქვს. საშუალოვადიან პერიოდში საჭიროა არსებული რესურსების გამოყენება და ინვესტიციების მოზიდვა მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით, მერიის მხრიდან შესაძლებელია გაკეთდეს ინვესტორებთან კომუნიკაციის ხელშეწყობა.

ტურიზმი და მომსახურების სფერო - ტურისტებისათვის ტყიბულის მუნიციპალიტეტი შეიძლება იქცეს მიმზიდველ ადგილად, მისი მრავალფეროვანი ტურისტული ძეგლებისა და ორ ცნობილ ტურისტულ ადგილს - ქუთაისსა და რაჭას შორის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე. დარგის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად შესაძლებელია იქცეს მომსახურების სფეროში შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების არქონა, მიგრაცია ახალგაზრდებსა და შედარებით მაღალი კვალიფიკაციის მოსახლეობაში, ამიტომაც

მნიშვნელოვანია, ამ პრობლემების აღმოფხვრისაკენ მიიმართოს მაქსიმალური ძალისხმევა. დარგის განვითარებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას გარემოს დაბინძურებისა და სატყეო ფონდის შემცირების საფრთხეები.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი განთქმულია ისტორიული ძეგლებით. ისინი ყურადღებას იქცევენ თავიანთი მოზაიკით, მოხატულობით, ფრესკული და ლაპიდარული წარწერებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემორჩენილი ისტორიული ძეგლებიდან უმნიშვნელოვანესია გელათის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაშია შესული. გარდა გელათისა, მუნიციპალიეტის ტერიტორიაზეა სამონასტრო კომპლექსი მოწამეთა და „ნაქალაქარი". ასევე ჯვარისის, ცუცხვათის და საწირის ციხეები.

გარდა ამისა ტყიბულის ტერიტორიაზე მდებარეობს შემდეგი არქეოლოგიური ძეგლები: ცუცხვათის კარსტული მღვიმე „მაღარა“, ქვის ხანის საკაჟიას გამოქვაბული; ქვის ხანის იაზონის მღვიმე; ქვის ხანის ჭახათას ეხი; საბელასერის შუა ქვის ხანის სადგომ-სახელოსნო.

ბუნების საოცრებას წარმოადგენს ცუცხვათის კარსტული მღვიმე „მაღარა“, რომელიც 13 სართულისაგან შედგება. რამდენიმე სართულში წარმოქმნილია სტალაქტიტები და სტალაგმიტები. მღვიმეთა შორის სჭარბობს ე.წ. „თბილი მღვიმეები“, რომლებიც საცხოვრებლად გამოუყენებიათ პირველყოფილ ადამიანებს. ეს მღვიმე საკულტო დანიშნულებისათვისაც ყოფილა გამოყენებული, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება. მღვიმეში ნაპოვნია არქეოლოგიური ძეგლები შუა პალეოლითიდან ბრინჯაოს ხანამდე და ისტორიულ ეპოქამდე, აგრეთვე ცხოველთა ორმოცამდე სახეობის ძვლები. ჯერ კიდევ მრავალი საიდუმლოებითაა მოცული ცუცხვათის მღვიმოვანი.

ტყიბულში, გარდა გელათისა და მოწამეთას სამონასტრო კომპლექსისას, მასობრივი ტურიზმის ობიექტად გადაქცევის პერსპექტივა აქვს ცუცხვათის მღვიმოვანს, რომელიც 1974 წლიდან სახელმწიფო ნაკრძალადაა გამოცხადებული და ცხრაჯვარს. ტურიზმისა და დასვენების ზონებს მიეკუთვნება ტყიბულისა და შაორის წყალსაცავების ტერიტორია. დარგის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პერსპექტივის მქონეა ძმუისის კანიონი, მუხურის ჩანჩქერი და სხვა ბუნების ძეგლები.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი უკეთ უნდა იქნას გამოყენებული და ათვისებული ბიზნესსექტორის მხრიდან, რისთვისაც მთავრობას შეუძლია დანერგოს და განახორციელოს შესაბამისი ხელისშემწყობი პროექტები და ღონისძიებები, და ასევე უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებს ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა მუნიციპალიტეტში.

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სხვა თანმდევ ინფრასტრუქტურასთან ერთად, ძირითადად ტურიზმის განვითარებაზე მიმართვის შემთხვევაში, დარგის განვითარების პროგრამის შემუშავება და განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს მოკლევადიანი პერიოდით ჩამოსული ტურისტების ადგილზე დაკავებას, მათთვის გრძელვადიანი, რამდენიმე დღეზე გათვლილი სერვისის შეთავაზებას, ამ კუთხით, ტურიზმის მომსახურების სფეროს

ბიზნესების და შინამეურნეობების განვითარება, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში. მუნიციპალიტეტში არსებობს შესაბამისი პოტენციალი, საერთაშორისო მნიშვნელობის ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების სახით - გელათისა და მოწამეთის მონასტრები, ცუცხვათის მღვიმოვანი. მათთან ერთად, ამ ეტაპზე არა ცნობადი, თუმცა განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალის მქონე, 130-მდე ისტორიულ-კულტურული, ბუნებრივი, ეთნოგრაფიული ძეგლის სახით. ასევე, გარკვეულ უპირატესობას იძლევა მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობა ცნობილ ტურისტულ ლოკაციებს - რაჭასა და ქ. ქუთაისს შორის.

2.2. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა -

ტყიბულის მუნიციპალიტეტში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მნიშვნელოვანი ძალისხმევა ხორციელდება ძირითადი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაში. 2019 წელს 20 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა გზების, სასმელი წყლის, სკოლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების კეთილმოწყობაში. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის საერთო სიგრძე შეადგენს 84 კმ-ს, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძეა 551 კმ. აღნიშნული გზების რეაბილიტაციის სამუშაოები ყოველწლიურად მიმდინარეობს.

მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელ უბნებში ეზოების კეთილმოწყობა და საცხოვრებელი კორპუსების ლიფტების რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვა და ფინანსდება ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

მნიშვნელოვანია შიდასაქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული დაბალი ტარიფის შენარჩუნება და ახალი მარშუტების დამატება რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა გააჩნია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილია 81 ხიდი, რომელთაც ასევე პერიოდულად უტარდება გამაგრებითი და აღდგენითი სამუშაოები.

წყალმომარაგების სისტემის განახლება/რეაბილიტაცია ასევე მიმდინარეობს ყოველწლიურად, ამიტომ წყლის მიწოდება გრაფიკის მიხედვით ხდება. სასმელი წყლის მაგისტრალის სიგრძეა 160 კმ.

მუნიციპალიტეტს აქვს სარკინიგზო მიმოსვლა ქ. ქუთაისთან. ტყიბულის მუნიციაპლიტეტში დაწყებულია და ინტენსიურად მიმდინარეობს გაზიფიცირება, ხოლო ელექტროენერგიის მიწოდება ხდება 24 საათიანი რეჟიმით.

ასევე მნიშვნელოვანი და საჭიროა საცხოვრებელი სახლების ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობის დახმარების პროგრამა. მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების შიდა ეზოების კეთილმოწყობა. გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ბაღებისა და სკვერების მოვლა, მწვანე ნარგავების მოვლა, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა მიმართა ადგილზე ეკონომიკური აქტივობის გაზრდისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ძირითადი ინფრასტრუქტრის მოწესრიგებაში. მომზადდა კურორტ ცხრაჯვარის სარეკრეაციო ტერიტორიის პოტენციურად მნიშვნელოვანი საინვესტიციო არეალების, განაშენიანების რეგულირების გეგმა (გრგ). საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უკვე გამოაცხადა ცხრაჯვარის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ტენდერი. ასევე, მუნიციპალიტეტს განზრახული აქვს ტერიტორიის კეთილმოწყობა ნაწილობრივ (ძირითად ინფრქტრუქტურულ ნაწილს მუნიციპალიტეტი შეასრულებს თვითონ) განსახორციელებლად შეთავაზოს პოტენციურ ინვესტორებს, რომელთა მხრიდანაც დაინტერესება უკვე არსებობს. მნიშვნელოვანი წარმატებულია ასევე სოფელ საწირის მაგალითი. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, ეკონომიკური ინსტიტუტების და დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით მომზადდა სოფელ საწირის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების დოკუმენტი: „საწირე - მომავლის სოფელი, კონკურენტუნარიანობის ამაღლება ტურიზმისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობით“.

ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა - ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ გელათის კომპლექსთან მისასვლელი გზები და სხვა ინფრასტრუქტურა მეტ-ნაკლებად კეთილმოწყობილია. ასევე არსებობს სხვა სკვერები და დასასვენებელი პარკები, რომლებიც საჭიროებს რეაბილიტაციას.

2.3. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს.

ჯანდაცვის მომსახურეობის ხელმისაწვდომობა - ტყიბულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 საწოლიანი ტყიბულის მრავალპროფილიანი საავადმყოფო, ხოლო სოფლებში 9 ამბულატორია. სოფლის 9 საექიმო ამბულატორია, რომლებიც განთავსებულია სოფლებში: მუხურაში, საწირეში, ხრესილში, ცუცხვათში, ჯვარისაში, გურნაში, კურსებში, გელათსა და ორპირში. სოფლის ექიმთა რაოდენობა შეადგენს 12-ს, რომელიც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია ერთით.

ფაქტობრივად გაშლილ საწოლთა რაოდენობა შეადგენს 20-ს, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 5-ით. საწოლების უზრუნველყობა 100000 მოსახლეზე შეადგენს 96,6-ს, რაც ბოლო

4 წლის განმავლობაში გაზრდილია 46,6 ერთეულით. დეტალური სტატისტიკური მონაცმები აღწერილია დანართში N1.

ექიმთა რაოდენობაა 38, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში შემცირებულია ერთით. საექთნო პერსონალის რაოდენობაა 31, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში შემცირებულია 13-ით.

სამედიციო მომსახურებაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. იმის გამო რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა და ფუნქციონირებს ქვანახშრის მომპოვებელი საწარმო-შახტა და ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა, ქვანახშირის მოპოვების დროს ხშირია პროფესიული დაავადებების, სხვადასხვა საწარმოო ტრამვების და დამწვრობის შემთხვევები, საჭირო ხდება დაშავებულთა გადაყვანა ქ. ქუთაისისა და თბილისის კლინიკებში.

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენს ის რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რომლებშიც ჯერ კიდევ იმყოფება მოსახლეობა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სარგებლობს სადაზღვევო კომპანიების პოლისებით, დიდია რიცხვი მოსახლეობისა რომელთათვისაც მიუწვდომელია სამედიცინო მომსახურეობა ფასებისა და მათი გადახდისუუნარობის გამო.

კერძო დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა ძალიან მცირეა. მოსახლეობისათვის რთულია და პრობლემატურია მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა. თუმცა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ნაწილობრივ უზრუნველყოფს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას.

ქალაქის მდებარეობა და კლიმატური პირობები ასევე ზრდის რისკს ინვაზიური დაავადებების გავრცელებისათვის. სამწუხაროდ მომატებულია ონკოლოგიური დაავადებების შემთხვევები წინა წლებთან შედარებით. თუმცა აღინიშნება მართვადი ინფექციების შემცირების ტენდენცია.

სოციალური მომსახურეობა - ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური რეაბილიტაციის, ბავშვზე ზრუნვისა და სხვა სახის პროგრამებით მუნიციპალიტეტში არსებული მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები სარგებლობენ, თუმცა რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე მათი რაოდენობა ცოტაა და მომავალში აუცილებლობას წარმოადგენს შესწავლილ იქნას სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებები.

მუნიციპალიტეტში ნაკლებად არის უზრუნველყოფილი შშმ პირებისათვის ადაპტირებული ინფრასტრუატურა, თუმცა მათივე განცხადებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მომართვის საფუძველზე უკვე ინტენსიურად მიმდინარეობს აღნიშნულ საკითხზე მუშაობა.

აღსანიშნავია, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და ყოველწლიურად მზარდია, რაც მეტწილადად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს. მათ შორის, ტყიბულის მუნიციპალიტეტმა 2019 წლიდან ადგილობრივ არასამთავრობო

ორგანიზაცია ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდთან ერთად, გერმანული საერთაშორისო ორგანიზაცია ASB საქართველოს დაფინანსებით დაიწყო მუნიციპალიტეტში მცხოვრები 30 მარტოხელა ხანდაზმულისათვის შინმოვლის სერვისის განხორციელება. სერვისის ფარგლებში ბენეფიციარებს მიეწოდებათ საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობების მოწესრიგების, საკონსულტაციო და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი. 2020 წლიდან სერვისი გაგრძელდება სრულად მუნიციპალიტეტის დაფინანსებით. გაიზარდა სერვისის მიმღებთა რაოდენობა და სერვისი გამრავალფეროვნდა.

2.4. განათლება, კულტურა და სპორტი

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის როგორც საშუალო და სკოლამდელი, ისე პროფესიული განათლების, ასევე კულტურისა და სპორტის სფეროს დაწესებულებები. განათლების ინფრასტრუქტურა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, თუმცა საჭიროა სკოლამდელი საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა და დამატება მუნიციპალიტეტში.

განათლებაზე ხელმისაწვდომობა - ტყიბულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 18 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, აქედან 6 ქალაქში, ხოლო 12 მუნიციპალიტეტის სოფლებში, სადაც ირიცხება 623 აღსაზრდელი (ცხრილი N 5.1).

იგეგმება დამატებით რამდენიმე ახალი ბაღის აშენება და მიმდინარეობს უკვე არსებულის აღდგენა/რეაბილიტაცია.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში 24 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა/სკოლაა, მათ შორის, 6 ქალაქ ტყიბულში და 18 სოფლებში. მოსწავლეთა რაოდენობა 2,203-ია. მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 77 ერთეულით. მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 402-ს, რაც ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 24 ერთეულით. მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა შეადგენს 5.48, რაც ბოლო 3 წლის განმავლობაში გაზრდილია 0,44-ით. დეტალური მონაცემები აღწერილია დანართში #2.

ყოველწლიურად მიმდინარეობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, სკოლებში ხორციელდება სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. მათი დიდი ნაწილი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკითა და გამართულად მუშაობს ინტერნეტი. რიგ საჯარო სკოლებს ემსახურება ტრანსპორტი მოსწავლეთა გადასაყვანად.

ქ. ტყიბულში მოქმედებს პროფესიული სასწავლებელი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი, სადაც 148 სტუდენტი ეუფლება სხვადასხვა პროფესიას. ასევე ფუნქციონირებს ხელოვნების სკოლა და სამუსიკო სკოლა, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილია ჩართული.

კულტურისა და სპორტის სერვისები - ტყიბულის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ძეგლების სიმრავლით. განსაკუთრების აღსანიშნავია UNESCO-ს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი გელათის სამონასტრო კომპლექსი და მოწამეთა. ეს ძეგლები პოპულარულია, როგორც ადგილობრივ ასევე უცხოელ

ტურისტთა შორის. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სოფლებში არსებობს 23-მდე IX-XIX საუკუნის ისტორიული და კულტურული ძეგლი.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ასევე, არის ლიტერატული კაფე, სადაც ხშირია სხვადასხვა სახის ღონისძიებები და რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსწავლე ახალგაზრდობას შორის. ქალაქში მოქმედებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრი, რომელიც ხშირად მასპინძლობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა თეატრალური, თუ მუსიკალური ჯგუფების წარმომადგენლებს.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 19 ბიბლიოთეკა, აქედან, 14 მუნიციპალიტეტის სოფლებში და 6 ქალაქში, მათ შორის ცენტრალური, 2 საბავშვო, ახალგაზრდული და საქალაქო ბიბლიოთეკები. მუნიციპალიტეტში სისტემატურად ეწყობა წიგნის ფესტივლები და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი ნაწილი აქტიურად არის დაკავებული სპორტის მრავალი სახეობით. მათ შორის პოპულარულია ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი და სხვა. მოქმედებს ასევე აღმოსავლური ორთაბრძოლების სკოლა, რომელსაც გარკვეული წარმატებები აქვს საქართველოს მასშტაბით.

ქალაქ ტყიბულში არის საერთაშორისო სტანდარტების საფეხბურთო მოედანი, საცურაო აუზი და ტყიბულის სპორტის სასახლე, რომლის რეაბილიტაცია ახალი დასრულებულია.

კულტურისა და სპორტის სფეროში ასევე ფუნქციონირებს ქალაქის კულტურის ცენტრი, ქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე, ქალაქის სახელოვნებო სკოლა, სამხატვრო სკოლა, სოფელ საწირის კულტურის სახლი, სოფელ ორპირის კულტურის სახლი, საჭადრაკო კლუბი, კალათბურთისა და ფრენბურთის მარტივი ტიპის მოედნები, კრივისა და ჭიდაობის დარბაზები.

2.5. გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოედინება მდინარეები: ლეხიდარი, ძუსა, ტყიბულა, მაღარა-ჭიშურა, წყალწითელა, ქვეხუნა. არის რამდენიმე ჩანჩქერი მუხურასა და ძმუისში. ტყიბული მდიდარია ისეთი წიაღისეულით, როგორიცაა ქვანახშირი, დიპტოლიტური და ნახშიროვანი ფიქალები, ქალცედონი, ტეშენიტი, ბარიტი, კვარცის ქვიშები, მარმარილო, ბაზალტი, გიშერი, ცეცხლგამძლე და საცემენტე თიხები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოედინება მინერალური წყალი: კურსებში, ბუეთში, სოჩხეთში, კოკაში, ცუცხვათში, მუხურასა და ლეღვაში.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მდიდარი ბუნებით. ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2004 წლის ინვენტარიზაციის მასალების მიხედვით, ტყეებს 29,183 ჰა ფართობი უჭირავს. ფლორა და ფაუნა წარმოდგენილია როგორც ვიწრო არეალის კოლხური, ასევე კავკასიური ენდემური სახეობებითა და ჯიშებით. ყველაზე გავრცელებული ჯიშებია მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, წაბლი, ძელქვა, აკაცია და ა.შ. დიდხნოვანი ხე: 1500 წლის სოფელ სოჩხეთში; რელიქტური მცენარეები: ბზა, უთხოვარი, შქერი, წაბლი და სხვ.; კორომები:

უთხოვარის - ცუცხვათსა და დოხორაში, თხმორი - ძმუისში, წაბლის - მდინარეების ტყიბულასა და ძუსას ხეობაში. საკანალიზაციო კოლექტორები აქვს მხოლოდ ქალაქ ტყიბულს, თუმცა გამწმენდი მოწყობილობები არარსებობს.

ტყიბულის ადმინისტრაციული ერთეულისათვის ბუნებრივი საფრთხეებიდან სახასიათოა ძლიერი ქარი, მეწყერი, მდინარის ნაპირების ეროზია და გვალვა. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დასახლებულ ტერიტორიებს საფრთხეს უქმნის მეწყერული მოვლენები.

აღსანიშნავია ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებული თბოსადგურისა და ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც წარმოადგენს წყლისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს. ბოლო წლებში იმატა სხვადასხვა სახის დაავადებათა რიცხვმაც. ასევე აღსანიშნავია, მდინარე ტყიბულას ნაპირზე არსებული ქვანახშირის საწარმო, რომლის ნარჩენები პირდაპირ ჩაედინება მდინარეში და აბინძურებს მას.

მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებასა და გატანას უზრუნველყოფს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ. „კომუნალური გაერთიანება“, რომელიც ემსახურება მოსახლეობის 60 %-ს (11,280 მოსახლე). ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ სტატისტიკური წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 0,84 კუბურ მეტრს (დაახლოებით, 1.1 ტონა), ხოლო წელიწადში გატანილი ნარჩენების მთლიანი რაოდენობა შეადგენს, დაახლოებით 10,000 კუბურ მეტრს. მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელი განთავსებულია ტყიბულში, სოფელ მანჭიორში. ნაგავსაყრელი ლიცენზირებულია.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს როგორც კონტეინერული, ასევე ხმოვანი სიგნალით შეტყობინების სისტემა. კონტეინერების საერთო რაოდენობაა 360, საიდანაც 250 ლითონისაა, 1.1 და 0.9 კუბური მეტრის მოცულობის მქონე, ხოლო 100 ერთეული პლასტმასის - 1.1 კუბური მეტრის მოცულობს მქონე კონტეინერი და 6 ერთეული სეპარირებადი პლასტმასის ბოთლებისათვის განკუთვნილი კონტეინერი. ნაგავმზიდი მანქანების რაოდენობაა-4, მათგან სამი კომპაქტორი და ერთი თვითმცლელია. სპეც-ავტომეურნეობას გააჩნია არასტანდარტირებული, ღია სამრეცხაო.

მუნიციპალიტეტს ნარჩენების დასუფთავების სისტემის გაუმჯობესებისათვის ესაჭიროება სეპარაციისათვის განკუთვნილი ნაგავმზიდი სპეც. ტექნიკა, რომელზეც გაკეთებულია განაცხადი. აქედან ერთი 8 $მ^3$ მოცულობის, და ერთი - 13-15 $მ^3$ მოცულობის. ასევე 150 ერთეული პლასტმასისა და ლითონის კონტეინერი. აღნიშნული საჭიროების დაკმაყოფილებას მუნიციპალიტეტი ელოდება 2020 წელს.

2.6. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

მუნიციპალიტეტში 2019 წელს გაიხსნა საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრი, რომლის მომსახურებით ტყიბულის და მისი მიმდებარე 11 სოფლის 24 ათასზე მეტი მცხოვრები ისარგებლებს. იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრები ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზეა ორიენტირებული. მომხმარებელი ადგილზე 200-ზე მეტი

სახელმწიფო და კერძო სერვისით ისარგებლებს. ტყიბულის საზოგადოებრივი ცენტრი იმერეთის რეგიონში რიგით მეთხუთმეტეა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება წარმოდგენილია წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და აღმასრულებელი ორგანოს - მერიის სახით.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გათვალისწინებულია 7,433.4 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც თითქმის 98% არის საკუთარი შემოსავლები, თუმცა წლის განმავლობაში მოსალოდნელია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების დამატებით გამოყოფა.

2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 14979.0 ათას ლარს, საიდანაც ამ ეტაპზე ბიუჯეტის 20% არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე, რადგან მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ფინანსები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც ამ ეტაპზე არ არის ასახული ბიუჯეტში და წლის განმავლობაში დაემატება. ამ ეტაპზე, დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებებზე ძირითადად მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებიდან მოდის 2020 წლის ბიუჯეტის 3,9%, განათლებაზე - 17%, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მიმართულებით -17%, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის კუთხით - 7% (მოიცავს მეტწილად მუნიციპალიტეტის საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოფილ დაფინანსებას).

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც აუცილებელი წინა პირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, 2020-2024 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

3. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• განვითარებული სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, შემდგომი გაფართოების პერსპექტივით და მაღალი კვალიფიკაციის კადრებით; • მოთხოვნადი, ტრადიციულად ჩამოყალიბებული ჩაის წარმოების აღდგენის პერსპექტივა, პოპულარული ბრენდი „ტყიბულის ჩაი“; • მდიდარი წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები; • ტურიზმის განვითარების პერსპექტივა: - ზომიერი კლიმატი, ბუნებრივი გარემო; • ისტორიულ კულტურული და ბუნების ძეგლების მრავალფეროვნება; • მნიშვნელოვანი ისტორიული და ბუნებრივი ძეგლები: გელათი, მოწამეთა, ცუცხვათის მღვიმე; • საფეხმავლო, საცხენოსნო, სარკინიგზო, კულტურულ-საგანმანათლებლო, მომლოცველობითი, სპელეო და სათავგადასავლო-აღმოჩენითი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა; • იმერული სტუმართმასპინძლობის ტრადიციები. • სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ცენტრებთან სიახლოვე: რკინიგზა, კოპიტნარის აეროპორტი, ფოთის და ბათუმის პორტები; • გამართული საგზაო და ენერგო ინფრაქტრუტურა.	• მოსახლეობის მიგრაცია, შრომითი და კვალიფიციური რესურსის გადინება, დემოგრაფიული პრობლემები; • არადივერსიფიცირებული ეკონომიკა, ერთ სუბიექტზე (საქნახშირი) დამოკიდებული ქ. ტყიბული; • განუვითარებელი სოფლის მეურნეობა: მწირი და მცირე მიწიანობა, მოძველებული ტექნოლოგიები, დაბალი კვალიფიკაცია; • აუთვისებელი ბუნებრივი რესურსები. მოძველებული ტექნოლოგიები; • ინვესტორებთან და ბიზნესთან მუშაობის არასაკმარისი გამოცდილება; • ტურისტული განთავსებისა და კვების ინფრაქტრუტურის ნაკლებობა; • ტურისტული სერვისის, მომსახურების სფეროში დაბალი კვალიფიკაცია, მწირი გამოცდილება; • მოძველებული შიდა ტრანსპორტი; • ინტერნეტზე, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაბალი ხელმისაწვდომობა; • შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის არაორგანიზებულობა; • ფულად-საკრედიტო რესურსისადმი დაბალი ხელმისაწვდომობა; • დიასპორის პოტენციალისა და ემიგრაციაში მყოფი და დაბრუნებული მიგრანტების შესაძლებლობების გამოუყენებლობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი სასოფლო-სამეურნეო პროგრამები.	• კლიმატის ცვლილება • ბუნებრივი და გარემო პირობები; • პოლიტიკური არასტაბილურობა;

• მეჩაიეობისა და კენკროვანი კულტურების განვითარების სახელმწიფო პროგრამა; • სახელმწიფოს მხრიდან სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობის განვითარების ხელშემწყობი გარემო; • სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების პოპულარიზაცია; • ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი გარემო; • ინვესტორების მხრიდან ტურისტული ინფრასტრუქტურისადმი გაზრდილი ინტერესი.	• გარემოს დაბინძურების საფრთხე; • სატყეო ფონდის შემცირება და გარემოს დეგრადაცია; • სტიქიური მოვლენები; • ეკონომიკური, ფინანსური და სხვა სახის კრიზისები, ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა; • გარე კონკურენცია სხვა მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

4. განხორციელების მექანიზმი

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება დოკუმენტით წარმოდგენილი გეგმებისა და ხედვების განხორციელებისას გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

გამართული კოორდინაცია სხვადასხვა მხარეებთან - პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების შედეგიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყველა საჯარო უწყების ეფექტურ კოორდინაციაზე. განსაკუთრებული როლი უჭირავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კოორდინაციას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იმისთვის რომ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული პროექტები იყოს ხარჯეფექტიანი მართველობის ორ დონეზე დაგეგმილი ღონისძიებები ერთმანეთს უნდა ავსებდეს, არ ხდებოდეს აქტივობების გამეორება და იყოს მჭიდრო კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოხდება ცენტრალური ხელისუფლების გეგმებისა და ხედვების გათვალისწინება ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას, მჭიდრო იქნება ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებთან კოორდინაცია.

პარტნიორობა - პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტნიორობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. პარტნიორობა გათვალისწინებული არის როგორც დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე, ისე მისი განხორციელების ეტაპზე. თითოეულ მხარეს, ეს იქნება თავად ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი თუ სხვა, აქვს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ერთიანი მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. შესაბამისად, პარტნიორობის პრინციპი იქნება ერთ-ერთი ფუძე დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

კანონიერების პრინციპი - ფინანსური სახსრების ხარჯვა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ფუნქციები მმართველობის სხვადასხვა დონეზე მკაფიოდ იქნება გამიჯნული და გადანაწილებული. ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრება აქტივობის დამფინანსებელ ორგანიზაციას.

წინამდებარე სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნების, ამოცანების, აქტივობების, აქტივობის შედეგის ინდიკატორის, განხორციელების პერიოდის, შესაბამისი ბიუჯეტის, დაფინანსების წყაროსა და განმახორციელებელი უწყების შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას.

სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს.

2 წლის შემდეგ განხორციელდება არსებულის მონიტორინგი და შეფასება, რაც საფუძველი იქნება მომდევნო 2 წლიანი პერიოდის მეტად ეფექტურად და ხარჯეფექტიანად გადასაგეგმად.

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება აქცენტს გააკეთებს მომდევნო პერიოდში ყველა მიზნისა და ამოცანის მოცვაზე, და ამისთვის აქტიურად იმუშავებს დამატებითი ფონდების მოძიების თუ საკუთარი ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის კუთხით.

2020-2023 წლების სამოქმედო გეგმა

მიზანი 1	**მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება და უსაფრთხოების ხარისხის ზრდა**						**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:**				**1,2,5,8,9,11,12,13,17**
ამოცანა 1.1	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგება										
ამოცანის შედეგის ინდიკატორი	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, გაზრდილია გადაადგილების შესაძლებლობები და		**საბაზისო**	**სამიზნე**			**დადასტურების წყარო**				
				შუალედური		**საბოლოო**					
		წელი	**2020**	**2022**		**2023**					
აქტივობა	**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**	**პასუხის მგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**შესრულების ვადა**	**ბიუჯეტი [₾]**	**დაფინანსების წყარო**				
							მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		**სხვა**		**დეფიციტი**
							ოდენობა [₾]	**კოდი**	**ოდენობა [₾]**	**ორგანიზაცია**	
ქ. ტყიბულსა და სასოფლო დასახლებებში წყლის მაგისტრალების რეაბილიტაცია	რეაბილიტირებული სასმელი წყლის მაგისტრალის სიგრძე	ადგილობრივი ბიუჯეტი, მიღება-ჩაბარების აქტები, ფომტომასალა, სხვა დოკუმენტაცია	*მერია*	საერთაშორისო	2023	12,000,000.00	8,000,000.00	0202 (0210)	4,000,000.00	გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	3,000,000.00

	ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია		რეაბილიტირებული გზის სიგრძე	ადგილობრივი ბიუჯეტი, მიღება-ჩაბარების აქტები, ფომტომასალა, სხვა დოკუმენტაცია	*მერია*	საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო	2020-2023	35,000,000.00	10,000,000.00	0201 (0210)	25,000,000.00	საავტომობილო გზების დეპარტამენტი	
	კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების შემუშავება და განხორციელება		განხორციელებული პროექტების რაოდენობა	ადგილობრივი ბიუჯეტი, მიღება-ჩაბარების აქტები, ფომტომასალა, სხვა დოკუმენტაცია	*მერია*	საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების	2020-2023	5,500,000.00	4,000,000.00	0206; 0208; 0301			1,500,000.00
ამოცანა 1.2		მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებზე დაყრდნობით სოციალური ინკლუზიის მიღწევის ხელშეწყობა											
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2		გაზრდილია წვდომა სოციალურ მომსახურებაზე და გაუმჯობესებულია სოციალური სერვისები			**საბაზისო**	**სამიზნე**			**დადასტურების წყარო**				
						შუალედური	**საბოლოო**						

				წელი	**2020**	**2022**		**2023**					
									დაფინანსების წყარო				
აქტივობა		**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**		**დადასტურების წყარო**	**პასუხის მგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**შესრულების ვადა**	**ბიუჯეტი [1]**	**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**		**სხვა**		**დეფიციტი**
									ოდენობა [1]	**კოდი**	**ოდენობა [1]**	**ორგანიზაცია**	
	ახალი მუნიციპალური სერვისების დაგეგმვა, განხორციელება, არსებულის ეფექტურობის გაზრდა		განხორციელებული სერვისების რაოდენობა	ადგილობრივი ბიუჯეტი, მიღება-ჩაბარების აქტები, ფომტომასალა, სხვა დოკუმენტაცია	მერია	საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო	2020-2023	2,000,000	2,000,000	0602			
	ახალგაზრდების სოციალური აქტივობის გაზრდის მიზნით პროექტების დაგეგმვა-განხორციელება		განხორციელებული მოხალისეობრივი აქტივობებისა და ახალგაზრდული პროექტების რაოდენობა, ბენეფიციარების რაოდენობა	ადგილობრივი ბიუჯეტი, მიღება-ჩაბარების აქტები, ფომტომასალა, სხვა დოკუმენტაცია	მერია	საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო	2020-2023	300,000.00		0602			150,000.00
	ინკლუზიური მიდგომებით მუნიციპალური სერვისების დაგეგმვა-განხორციელება		აქტივობებში ჩართულო მოწყვლადი ჯგუფებისა და ბენეფიციარების რაოდენობა	ადგილობრივი ბიუჯეტი, მიღება-ჩაბარების აქტები, ფომტომასალა, სხვა დოკუმენტაცია	მერია	საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო	2020-2023	200,000.00		0602			50,000.00

მიზანი 2:	**ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ბიზნეს-მომსახურების სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა**				**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:**							**1,2,5,8,9,12,17**
ამოცანა 2.1	ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; განვითარების პერსპექტივის მქონე მიმართულებების იდენტიფიკაცია და მათი განვითარების პროგრამის შემუშავება; სასარგებლო წიაღისეულით დატვირთული მიწების ინვენტარიზაცია											
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1	მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალი შესწავლილია და ხდება მისი პოპულარიზაცია, ინვესტორებს აქვთ ინფორმაცია და ხდება მათ დაინტერესებაზე მუშაობა		**საბაზისო**	**სამიზნე**			**დადასტურების წყარო**					
				შუალედური	**საბოლოო**							
		წელი	**2020**	**2022**	**2023**							
აქტივობა	**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**		**დადასტურების წყარო**	**პასუხის მგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**შესრულების ვადა**	**ბიუჯეტი [ ]**	**დაფინანსების წყარო**				
								მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		**სხვა**		**დეფიციტი**
								ოდენობა [ ]	**კოდი**	**ოდენობა [ ]**	**ორგანიზაცია**	
მიწების ინვენტარიზაცია, კვლევების ჩატარება, საინვესტიციო პაკეტების მომზადება	1. ჩატარებული ინვენტარიზაციის რაოდენობა 2. საინვესტიციო პაკეტების რაოდენობა		ადგილობრივი ბიუჯეტი, მიღება-ჩაბარების აქტები, ფომტომასალა, სხვა დოკუმენტაცია	მერია	საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო	2020-2023	100,000.00		02 05			100,000.00

	განვითარების პერსპექტივის მქონე მიმართულებების იდენტიფიკაცია და მათი განვითარების პროგრამის შემუშავება - მიმართულებების იდენტიფიკაცია და პროგრამის ჩამოყალიბება		1. იდენტიფიცირებული პერსპექტიული მიმართულებები; 2. მომზადებული ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტურისტული მიმართულებების განვითარების გეგმა	ადგილობრივი ბიუჯეტი, მიღება-ჩაბარების აქტები, ფომტომასალა, სხვა დოკუმენტაცია	მერია	საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები	2020-2023	50,000.00		02 05			50,000.00
ამოცანა 2.2	ტურიზმის სექტორის ხელშეწყობა												
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2	იზრდება ტურისტების რაოდენობა და მომსახურების ხარისხი, რისი მიღებაც ტურისტებს შეუძლიათ მუნიციპალიტეტში, გაუმჯობესებულია ტურისტული ინფრასტრუქტურა			**საბაზისო**	**სამიზნე**			**დადასტურების წყარო**					
					შუალედური		**საბოლოო**						
		წელი		**2020**	**2022**		**2023**						
აქტივობა	**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**		**პასუხის მგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**შესრულების ვადა**	**ბიუჯეტი [₾]**	**დაფინანსების წყარო**					
								მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		**სხვა**			**დეფიციტი**
								ოდენობა [₾]	**კოდი**	**ოდენობა [₾]**	**ორგანიზაცია**		

	ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების ჩამოყალიბება და მოწყობა		ტურისტული დანიშნულების ადგილებამდე სათანადო წესით მოწყობილი გზების რაოდენობა; ახლად შექმნილი საპიკნიკე, საკემპინგე ადგილებისა და სალაშქრო/საფეხმავლო ბილიკების რაოდენობა; კეთილმოწყობილი 70 მ2 ფართი, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკითა და სრულყოფილი საინფორმაციო ბაზით.	ადგილობრივი ბიუჯეტი, მიღება-ჩაბარების აქტები, ფომტომასალა, სხვა დოკუმენტაცია	მერია	საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები	2020-2023	550,000.00	100,000.00	05 02 01 03			450,000.00
ამოცანა 2.4			კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბება										
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.4			გაუმჯობესებულია კომუნიკაცია და თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და ბიზნეს სექტორს შორის; ხელი ეწყობა ბიზნეს განვითარებისათვის		**საბაზისო**	**სამიზნე**			**დადასტურების წყარო**				
						შუალედური		**საბოლოო**					
				წელი	**2020**	**2022**		**2023**					
აქტივობა			**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**	**პასუხის მგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**შესრულების**	**ბიუჯეტი [€]**	**დაფინანსების წყარო**				
									მუნიციპალიტეტის	სხვა	დეფიციტი		

						ვადა		ბიუჯეტი					
								ოდენობა [ ]	კოდი	ოდენობა [ ]	ორგანიზაცია		
	კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბება - საბჭოსა და მისი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება		ჩამოყალიბებული საბჭო, რომელშიც გაწევრიანებულია მცირე და მიკრო ბიზნესის 10 წარმომადგენელი; საბჭოს 2 წლიანი სამოქმედო გეგმა.	ადგილობრივი ბიუჯეტი, მიღება-ჩაბარების აქტები, ფომტომასალა, სხვა დოკუმენტაცია	მერია	საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო	2020-2023	5,000.00		01 07			5,000.00
	ფორუმის მოწყობა		ფორუმის მონაწილეთა რაოდენობა	ადგილობრივი ბიუჯეტი, მიღება-ჩაბარების აქტები, ფომტომასალა, სხვა დოკუმენტაცია	მერია	საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო	2020-2023	25,000.00		01 07			25,000.00

ამოცანა 2.5	ბიზნესსაქმიანობით დაინტერესებული ახალგაზრდებისა და ქალების ეკონომიკური გაძლიერება კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობით												
ამოცანის შედეგის ინდიკატორი	ხელი ეწყობათ ქალებსა და ახალგაზრდებს ბიზნეს საქმიანობის წამოწყებასა და განვითარებაში			**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**						
					შუალედური	**საბოლოო**							
		წელი		**2020**	**2022**	**2023**							
აქტივობა	**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**		**დადასტურების წყარო**	**პასუხის მგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**შესრულების ვადა**	**ბიუჯეტი [ ]**	**დაფინანსების წყარო**					
								მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		**სხვა**			**დეფიციტი**
								ოდენობა	**კოდი**	**ოდენობა [ ]**	**ორგანიზაცი**		

									[]			ა	
	ბიზნესსაქმიანობით დაინტერესებული ახალგაზრდებისა და ქალების ეკონომიკური გაძლიერებისთვის სასწავლო კურსების დაორგანიზება		1. ტრენინგის ოქმი და დასწრების სია; 2. ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა; 3. მონაწილებიის გამოკითვა პრეტესტი და პოსტტესტი;	ადგილობრივი ბიუჯეტი, მიღება-ჩაბარების აქტები, ფომტომასალა, სხვა დოკუმენტაცია	მერია	საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო	2020-2023	20,000.00		05 02			20,000.00

5. მონიტორინგი და შეფასება

განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისკენ სვლის შესაფასებლად პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტის გათვალისწინება. გეგმის მონიტორინგი განხორციელდება სისტემატურად, რაც გულისხმობს მონიტორინგის და შეფასების გეგმის მიხედვით გაწერილი საქმიანობების განხორციელებას, აქტივობების და პროექტების შესრულების მეთვალყურეობას დროულად ხარვეზების, შეფერხებისა თუ წარმატების შემთხვევების გამოვლენის მიზნით.

მონიტორინგის მონაცემების რეგულარული გაანალიზება ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი პროგრამული ცვლილებები სამოქმედო გეგმის საერთო განხორციელებისა და მიზნის მიღწევის პროცესიის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, საჭიროების შემთხვევაში.

მონიტორინგის ანგარიშები მომზადდება შემდეგი პრინციპებისა და ტექნიკური სტანდარტების დაცვით:

დროულობა - ანგარიშები მომზადდება დროულად, პერიოდის შერჩევა მოხდება საბიუჯეტო პროცესისა და კალენდრის გათვალისწინებით.

ფოკუსირებული - ანგარიშებში წარმოდგენილი იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, კონკრეტულ პრიორიტეტებსა და აქტივობებთან დაკავშირებული მიღწევები, შესაბამისი ინდიკატორებითა და მაჩვენებლებით.

მკითხველზე ორიენტირებული - ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება მომხმარებლისთვის გასაგებ და ადვილად აღქმადი ინსტრუმენტებით, დოკუმენტი იქნება მარტივად კითხვადი და აღსაქმელი.

რელევანტური - ანგარიშგება მოხდება მხოლოდ რელევანტურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. დოკუმენტისთვის არარელევანტური იქნება ყოველდღიური ადმინისტრაციული ხასიათის ინფორმაციისა და აქტივობების შესახებ დეტალების აღწერა/წარმოდგენა, რაც არ სძენს დოკუმენტს დამატებით ღირებულებას, და ნაკლებად საინტერესოა საზოგადოებისათვის.

მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში ადგილობრივი ხელისუფლება მიესალმება საზოგადოების ორგანიზაციების, მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის ჩართულობას, რაც მეტად ეფექტიანს გახდის ამ პროცესს.

მონიტორინგი და შეფასება, რაც დაკავშირებულია სამოქმედო გეგმის განახლებასთან, დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ. გამომდინარე იქიდან, რომ 1 მარტამდე მზადდება ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რასთან ერთად განხორციელდება მონიტორინგისა და შეფასების ნაწილიც, პირველი წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გათვალისწინებით.

შედეგების საფუძველზე კი მოხდება სამოქმედო გეგმის განახლება უკვე შემდეგი ორი წლისათვის.

შედეგად განხორციელდება:

- შედეგებისა და გავლენის შეფასება მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად საშუალო და გრძელვადიანი პერიოდზე;
- გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება;
- ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის ამაღლება;
- რესურსების ეფექტიანი განაწილების ხელშეწყობა მიზნებსა თუ მიზნობრივ პროგრამებს შორის.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდება:

- რამდენად წარმატებით მოხდა იმ სასურველი შედეგის დადგომა რაც მიზნებსა და ამოცანებში არის ასახული; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით;
- რამდენად წარმატებით მოხდა იმ პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გადაწყვეტა რაც მიზნებსა და ამოცანებში იყო წარმოდგენილი; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით.

დანართი

დანართი 1.მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა

N	დასახელება	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.
1	საავადმყოფოსა და სამედიცინო ცენტრების რაოდენობა	1	1	1	1
2	ამბულატორიული ცენტრებისა და პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა (გარდა სტომატოლოგიური დაწესებ.)	0	0	1	1
3	დამოუკიდებელი დისპანსერების რაოდენობა	0	0	0	0
4	ამბულატორიი სრაოდენობა	0	0	0	0
5	სოფლის ექიმი - მეწარმეების რაოდენობა	11	10	11	12
6	სასწრაფო დახმარების სადგურების (განყოფილება) რაოდენობა	1	1	2	1
7	სისხლის გადასხმის სადგურების (განყოფილება) რაოდენობა	0	0	0	0
8	ფაქტობრივად გაშლილ საწოლთა რაოდენობა	15	15	15	20
9	საწოლების უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	50.0	50.5	72.1	96.6
10	ექიმთა რაოდენობა	39	45	43	38
11	საექთნო პერსონალის რაოდენობა	44	42	32	31
12	გეგმიური ქირურგიული ოპერაციები	112	132	67	71
13	გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციები	45	64	55	46
14	მშობიარობა, მათ შორის ბინაზე	120	111	64	49
15	აბორტების რაოდენობა	63	70	38	37
16	ამბულატორიულ–პოლიკლინიკურ სამსახურში მიმართვიანობა	24779	48015	36785	34961
17	სასწრაფო დახმარების გამოძახება	3934	7147	5523	5444
18	შაქრიანი დიაბეტი (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	451	482	474	479
19	გულის იშემიური ავადმყოფობა (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	353	376	387	412
20	ჰიპერტენზიული ავადმყოფობა (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	1395	1550	1661	1555
21	სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული ავადმყოფები გულის მწვავე ინფარქტით	15	12	9	6
22	ცერებროვასკულური ავადმყოფობები (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	19	20	44	75
23	ბრონქული ასთმა და ასთმური სტატუსი (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	105	98	87	55
24	სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული ავადმყოფები ავთვისებიანი სიმსივნეებით	29	36	17	50
25	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	0	0	0	0

დანართი 2. სკოლებში მოსწავლეთ რაოდენობა

N	სკოლის დასახელება	საფეხური	მოსწავლეთა რაოდენობა (2017წ)	მასწავლებელთა რაოდენობა (2017წ)	მოსწავლეთა რაოდენობა (2018წ)	მასწავლებელთა რაოდენობა (2018წ)	მოსწავლეთა რაოდენობა (2019წ)	მასწავლებელთა რაოდენობა (2019წ)
1	N1 საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო/საშუალო	491	40	490	40	477	36
2	N2 საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო/საშუალო	108	21	110	21	89	19
3	N4 საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო/საშუალო	98	19	100	19	104	19
4	N5 საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო/საშუალო	96	22	97	22	104	20
5	N6 საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო/საშუალო	393	30	390	30	414	30
6	N7 საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო/საშუალო	79	22	79	22	106	21
7	სოფელ მუხურის საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო/საშუალო	77	21	77	21	52	19
8	სოფელ საწირის საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო/საშუალო	103	21	102	21	106	18
9	სოფელ ხრესილის საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო/საშუალო	53	20	53	21	53	20
10	სოფელ ორპირის საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო/საშუალო	193	23	193	23	197	25
11	სოფელ კურსების საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო/საშუალო	101	23	99	22	107	22
12	სოფელ გელათის საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო/საშუალო	120	25	119	24	130	21
13	სოფელ ჯვარისის საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო/საშუალო	15	17	15	14	19	13

14	სოფელ გურნის საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო /საშუალო	42	19	42	19	41	19
15	სოფელ სოჩხეთის საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო /საშუალო	40	17	39	17	31	14
16	სოფელ ცუცხვათის საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო /საშუალო	66	19	61	19	54	18
17	სოფელ მუხურის N1 საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო	31	15	31	15	23	14
18	სოფელ მუხურის N2 საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო	33	12	33	12	32	12
19	სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო	31	12	31	12	27	12
20	სოფელ დაბაძვლის საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო	15	15	15	15	14	12
21	სოფელ ძიროვნის საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო	4	5	4	5	5	5
22	სოფელ ციხიის საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო	6	9	6	9	5	8
23	სოფელ ოჯოლის საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო	1	3	1	3	0	0
24	სოფელ ძმუისის საჯარო სკოლა	დაწყებითი/საბაზო	13	8	13	8	13	5

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო